

13.01.2023

სკრინინგის განცხადება

ქალბატონ თამარ,

გაცნობებთ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელი მანავის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე დაგეგმილია სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის, 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, დაგეგმილი პროექტი სკრინინგის პროცედურად დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის (გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის) მიერ სკრინინგის განცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე წარმოდგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, სკრინინგის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

კანონმდებლობის დადგენილი წესით, დანართის სახით წარმოგიდგდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსიას და Shp ფაილებს.

დანართები:

1. სკრინინგის ანგარიში;
2. Shp ფაილები;

პატივისცემით,

გიორგი სვანიძე

ხელმოწერა:



საკონტაქტო ინფორმაცია: მობ: +995 595 333 733

ელ.ფოსტა: G.svanidze@yahoo.co.uk

სამელიორაციო სისტემის მოწყობა- ექსპლუატაციის

სკრინინგის ანგარიში



2023 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....გვ 3;
2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....გვ 4;
3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....გვ 5;
 - 3.1. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი.....გვ 5;
 - 3.1.1 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა.....გვ 6;
 - 3.2. დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები (მათ შორის საქმიანობის მასშტაბი).....გვ 9;
4. საპროექტო რეგიონის გარემო პირობების ზოგადი დახასიათება.....გვ 11;
 - 4.1. წყალღებისთვის გათვალისწინებული ზედაპირული წყლის ობიექტის (მდ. ჩაილური) ზოგადი დახასიათება.....გვ 11;
5. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....გვ 12;
 - 5.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....გვ 12;
 - 5.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....გვ 13;
 - 5.3. პროექტის განხორციელებით წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....გვ 14;
 - 5.4. ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....გვ 15;
 - 5.5. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....გვ 16;
 - 5.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....გვ 17;
6. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი.....გვ 17;
7. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.....გვ 17;
8. ზემოქმედების შესაძლო ხარისხი, კომპლექსურობა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების მნიშვნელობის განსაზღვრა.....გვ 18;
9. დანართები.....გვ 20.

1. შესავალი

სკრინინგი ანგარიში ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელი მანავის მიმდებარე ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციას. საირიგაციო მიზნებისთვის მდ. ჩაილურიდან დაგეგმილია - საათში 70 მ³ მოცულობის წყლის აღება. წყლის აღება განხორციელდება ტუმბოს მეშვეობით და მილსადენით მიეწოდება სარწყავ დანადგარს (ე.წ. ბარაბნიანი სპრინკლერს). პროექტის მიხედვით დაგეგმილია 35 ჰა მიწის ფართობის მოწყვა, რაც განხორციელდება მაისიდან - აგვისტოს ჩათვლით.

საპროექტო არეალი ადმინისტრაციულად მიეკუთვნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, სოფ. მანავს. საირიგაციო ტერიტორია (უკიდურესი ჩრდილოეთ ნაკვეთიდან) საკმაოდ დიდი მანძილით, დაახლოებით - 5 კილომეტრით, არის დაშორებული უახლოესი დასახლებული პუნქტიდან (სოფ. მანავი).

სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია იონჯის გაშენება-მორწყვის მიზნით. იონჯა პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენელია, რომელიც უმთავრესად მრავალწლოვანი (საშუალოდ 5-7 წელი) ბალახოვანი მცენარეა.

დაგეგმილი პროექტი, მდინარიდან წყლის აღება და საპროექტო ნაკვეთების ირიგაცია, არ განეკუთვნება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მომხდენ საქმიანობათა ჯგუფს. მდინარიდან წყალაღება და საირიგაციო მნიშვნელობით გამოყენება წლის განმავლობაში, დროებით ხასიათს ატარებს და შემოიფარგლება მხოლოდ 4 თვით. საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, საჭირო წყლის რაოდენობის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა, როგორც ტუმბოს პარამეტრები და საირიგაციო ტერიტორიის ფართობი, ისე ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. მდინარის ჰიდროლოგიური მახასიათებლების ანალიზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი დროის მონაკვეთში აღებული წყლის რაოდენობა ვერ მოახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას მდინარის ხარჯზე/დებიტზე.

სკრინინგის ანგარიში შედგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობისა და ადგილსპეციფიური გარემოებების სათანადო შესწავლის, ასევე პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზის საფუძველზე - რომელიც მიზნად ისახავ ადმინისტრაციულ უწყებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია და მისცეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

საინფორმაციო ცხრილი

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი	ფიზიკური პირი - გიორგი სვანიძე
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, მიხეილ ასათიანის 14
საკონტაქტო ინფორმაცია	მობილურის ნომერი: +995 595 333 733 ელ.ფოსტა: G.svanidze@yahoo.co.uk

დაგეგმილი საქმიანობის სახე, კოდექსის შესაბამისად	სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილი	საგარეჯოს რაიონი, სოფელი მანავი
ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ	ლევან ოზბეთელაშვილი (EcoMovement) მობ: 591 81 75 05

2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.

კოდექსი მოიცავს ორ (I; II) დანართს, სადაც მოცემულია საქმიანობები ჩამონათალი, რომლებიც საჭიროებენ შესაბამისი გარემოსდაცვით პროცედურის გავლას. I დანართის შემთხვევაში საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურას, ხოლო II დანართის შემთხვევაში – სკრინინგის პროცედურას (გარდა ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა).

დაგეგმილი პროექტი (სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია) შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობა და საჭიროებს კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლას.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარსადგენი სკრინინგის განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;

ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

- ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
- ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;
- ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;
- ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);
- გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:
 - გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
 - გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ის პროცედურას.

3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

3.1 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი

პროექტის განხორციელება დაგეგმილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. მანავის სიახლოვეს. საირიგაციო ნაკვეთების საკადასტრო კოდებია: 55.09.63.000.048; 55.09.63.000.050; 55.09.63.000.049; 55.09.63.000.046; 55.09.63.000.045; 55.09.63.000.164; 55.09.63.000.163; 55.09.63.000.167; 55.09.63.000.116; 55.09.63.000.002 (საერთო ფართობით - 358,419 მ²). საპროექტო ნაკვეთების საკუთრების ტიპი - თანასაკუთრება. საირიგაციო ნაკვეთებიდან სამი ნაკვეთი (55.09.63.000.164; 55.09.63.000.163; 55.09.63.000.167) არ წარმოდგენს უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებლის თანასაკუთრებას. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიები წარმოადგენენ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს ნაკვეთების მესაკუთრებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა ერთობლივი სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია.


საირიგაციო ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, სადაც დაგეგმილია იონჯის გაშენება. საწყავი დანიშნულებით წყლის აღება განხორციელდება საირიგაციო ნაკვეთების მიჯნაზე გამავალი მდინარე ჩაილურიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: 38 T X - 536865.00; Y - 4612942.00 (იხ. დანართი N 1). წყალაღების წერტილიდან მანძილი საირიგაციო ტერიტორიამდე დაახლოებით 37 მ-ს შეადგენს. საირიგაციო არეალის ცენტრის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: 38T X – 537019; Y – 4613063. საირიგაციო ნაკვეთებიდან (უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილიდან) უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე (სოფ. მანავი) მანძილი დაახლოებით 5 000 მ-ს შეადგენს (იხ. სურათი N3), ხოლო მანძილი წყალაღების (ტუმბოს განთავსების) წერტილიდან დაახლოებით - 5 530 მ-ს. საპროექტო არეალი (საირიგაციო ტერიტორია და მის ირგვლივ არსებული ნაკვეთები) სასოფლო-სამეურნეო სავაგრგულებითაა წარმოდგენილი, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა მცენრეული (ძირითადად მარცვლეული) კულტურების მოსაყვანად. საპროექტო არეალი მრავალი წელია

ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ იმყოფება და შედეგად ბუნებრივი ლანდშაფტი საგრძნობლად სახეცვლილია.


3.1.1 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

დასახლებულ ტერიტორიასთან: საპროექტო ადგილი საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული დასახლებული ტერიტორიიდან (სურათი N1). საირიგაციო ნაკვეთებიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი დაახლოებით 5 000 მ-ს შეადგენს, მხოლო მანძილი წყალაღების (ტუმბოს განთავსების) წერტილიდან დაახლოებით - 5 530 მ-ს. განსაზღვრულ ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციით დასახლებულ ტერიტორიასთან მიმართებით არაფერი იცვლება. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ზემოქმედება დასახლებულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის. საპროექტო არეალი და დაგეგმილი საქმიანობა თავსებადია დასახლებულ ზონასთან.

სურათი N1 - საპროექტო არეალიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე



სურათი N2 - წყალაღების წერტილიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე



ჭარბტენიან ტერიტორიასთან: საპროექტო ობიექტის სიახლოვეს არ ხვდება მუდმივად ან/და სეზონურად დატბორილი ადგილები, რომელიც შესაძლოა წარმოდგენდეს დამოუკიდებელ ეკოსისტემას - შესაბამისად შესაძლოა შემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიაზე პრაქტიკულად გამორიცხულია. დაგეგმილი საქმიანობა ან/და მისი განხორციელებისთვის შერჩეული ტერიტორიის ჭარბტენიან ტერიტორიასთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ ექვემდებარება.

შავი ზღვის სანაპირო ზოლთან: შეფასებას არ ექვემდებარება ასევე დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის თავსებადობის საკითხი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, რომელიც საპროექტო ადგილიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული.

ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: სამელიორაციო სისტემის მოწყობა დაგეგმილია არსებულ სასოფლო-სამურნეო ნაკვეთებზე, სადაც გარემო სრულიად სახეცვლილია ადამინის საქმიანობიდან გამომდინარე. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის ახალი, მათ შორის ტყით დაფარული, ტერიტორიის ათვისება. დაგეგმილი საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, მათ შორის შესაძლოა შემოქმედების არეალში არ ექცევა საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

დაცულ ტერიტორიებთან: უახლოესი დაცული ტერიტორიის (მარიამჯვრის ნაკრძალის) საზღვრამდე პირდაპირი მანძილი საირიგაციო ნაკვეთის უკიდურესი სამხრეთი წერტილიდან

დაახლოებით 42 მ-ს შეადგენს. საპროექტო საირიგაციო ნაკვეთებსა და დაცულ ტერიტორიას მიჯნავს მეორეხარისხოვანი გრუნტის გზა და მდინარე ჩაილური. დაგეგმილ საქმიანობას არანაირი (პირდაპირი ან/და ირიბი) შეხება არ აქვს დაცულ ტერიტორიასთან. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე საპროექტო სამელოიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული დაცულ ტერიტორიაზე შესაძლო ზემოქმედებასთან. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი წლებია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება და თავსებადია დაცულ ტერიტორიის საზღვრებთან, ხოლო არსებულ მდგომარეობას არ ცვლის არც სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია.

სურათი - N 3 – 4



კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან: საპროექტო მონაკვეთის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ხოლო დაგეგმილი საქმიანობის ანთროპოგენული ზემოქმედებით ძლიერ სახეცვლილ გარემოში განხორციელების გათვალისწინებით არც მათი შემდგომი გამოვლენა არ არის სავარაუდო - შესაბამისად დგინდება, რომ დაგეგმილი სამიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან/ობიექტებთან და მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სარწყავი სისტემის წყლით უზრუნველყოფისთვის მილსადენის მოწყობის ფაზაზე, გრუნტის ექსკავირების პროცესში, რაიმე არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაო პროცესი დაუყოვნებლივ შეჩერდება და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან): პროექტის განხორციელება დაგეგმილია ანთროპოგენული ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ბუნებრივი ლანდშაფტი პრაქტიკულად არ არსებობს ან/და ფრაგმენტლად არის შემორჩენილი მდინარის სანაპირო ზოლში. საქმიანობის განხორციელების ადგილი ახლოს არ ხვდება და თავსებადია, როგორც სახელმწიფო ტყესთან,

ისე ბუნებრივ ლანდშაფტთან. maps.gov.ge-ის მონაცემების მიხედვით საპროექტო არეალის სიახლოვეს არ მდებარეობს სარეკრეაციო ტერიტორიები.

3.2 დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები (მათ შორის საქმიანობის მასშტაბი)

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს სამელიორაციო სისტემის მოწყობას, რომლის ძირითადი კომპონენტებია: ზედაპირული წყლის ტუმბო და სარწყავი დანადგარი. სარწყავი სისტემა შედგება ორი ტუმოსაგან, რომელთაგან ერთი იქნება ძირითადია და მეორე სათადარიგო, თითოეული ტუმბოს წარმადობაა - 70 მ³/საათში (ბრენდი: DOMAK, მოდელი: KP500-3 30HP, წარმოებული თურქეთში). სარწყავ დანადგარს წარმოადგენს - ე.წ ბარაზნიანი სპრინკლერი.


სურათი N 5 - სარწყავი დანადგარის ვიზუალური მაგალითი



სისტემის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით - ტუმბოს მეშვეობით ამოღებული წყალი, შესაბამისი მილის საშუალებით მიეწოდება ბარაზნიან სპრინკლერს (სარწყავ დანადგარს), რომელიც დაწვიმებით რწყავს ნარგავებს. დაწვიმების მოთხოვნა იქნება მაისიდან-აგვისტოს ჩათვლით, თითოეულ თვეში ერთი კვირის (მაქსიმუმ 10 დღის) განმავლობაში. ზედაპირული წყლის ობიექტიდან ამოღებული წყალი (200 მმ დიამეტრის; დაახლოებით 372 მ სიგრძის) მილსადენის მეშვეობით შევა საირიგაციო მიწის ნაკვეთზე და შესაბამის წერტილებში, ჰიდრანტების მეშვეობით, დაუერთდება სარწყავ დანადგარს. მდინარიდან საირიგაციო

ფართობამდე მილსადენი განთავსებული იქნება 1 მ სიღრმემდე (70-80 სმ) ტრანშეაში, რათა არ მოხდეს მისი მექანიკური დაზიანება. ტრანშეის გაყვანის დროს მოხსნილი გრუნტი, მათ შორის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, განთავსდება ტრანშის გაყოლებაზე და ტრანშეაში მილის ჩადების შემდგომ გამოყენებული იქნება ტრანშეის დერეფნის შევსება-რეკულტივაციისთვის. ტრანშეის გაყვანა განხორციელდება ექსკავატორის საშუალებით. სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად გათვალისწინებული სამუშაოები გაგრძელდება მაქსიმუმ 1-2 დღის განმავლობაში.

საპროექტო სარწყავი სისტემის რუკა



სარწყავი სისტემის მუშაობის რეჟიმი სეზონურია, ნარგავების მოვლა იწყება გაზაფხულიდან და მიმდინარეობს აგვისტოს ბოლომდე. სამუშაოები ძირითადად მიმდინარეობს დღის და ნაწილობრივ ღამის საათებში, დღეში მაქსიმუმ 20 საათი. პროექტის მიხედვით, ამინდიდან გამომდინარე წელიწადში საირიგაციო დანიშნულებით ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის აღება საჭირო იქნება 4 თვის განმავლობაში, თითოეულ თვეში 7-დან 10 დღემდე, დღეში მაქსიმუმ 20 საათი, საათში - 70 მ³. მაქსიმალურ დატვირთვაზე გაანგარიშების (20 საათი X 70 მ³

X 10 დღე) მიხედვით, თვეში მოხმარებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა იქნება - 14 000 მ³. შესაბამისად წელიწადში, ოთხი თვის განმავლობაში, აღებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა იქნება - 56 000 მ³.

ცხრილი 1 - ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალღება თვეების მიხედვით

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში
-	-	-	-	14	14	14	14	-	-	-	-	56

პროექტის მიხედვით, საირიგაციო ფართობზე დაგეგმილია იონჯას გაშენება. იონჯა (*Medicago*) პარკოსან მცენარეთა ოჯახის განეკუთვნება. უმთავრესად მრავალწლოვანი (საშუალოდ 5-7 წელი) ბალახოვანი მცენარეა, აქვს 60—90 სმ (იშვითად 140 სმ) სიგრძის ღეროები, რომლებიც ბუჩქს ქმნიან. სამეურნეო-საწარმოო დანიშნულებით ძირითადად იყენებენ იონჯის ლურჯ (*Medicago sativa* L.) და ყვითელ (*Medicago falcata* L.) სახეობებს.

4. საპროექტო რეგიონის გარემო პირობების ზოგადი დახასიათება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფართობი 1491 კმ²-ია, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 94 371 ჰა უკავია. მუნიციპალიტეტის რელიეფი ზღვის დონიდან 460 მ-იდან 1800 მ-ის ფარგლებში იცვლება, ხოლო ზონალობის მიხედვით იცვლება კლიმატური პირობები. დაბალ ზონაში ზომიერად თბილი სტეპური ჰავა გაბატონებული, ხოლო შედარებით მაღალ ზონაში ზომიერად ნოტიო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11 °C-12 °C-ია. ნალექების საშუალო წლიური მოცულობა 700-860 მმ-ია. ნალექების მაქსიმუმი მოდის გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარე იორი.

4.1. წყალღებისთვის გათვალისწინებული ზედაპირული წყლის ობიექტის (მდ. ჩაილური) ზოგადი დახასიათება

ჩაილური არის მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. სათავს იღებს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1435 მ სიმაღლეზე. ერთვის მდინარე იორს მარცხენა მხრიდან. მდ. ჩაილურის სიგრძე - 29,6 კმ-ს, ხოლო აუზის ფართობი - 167 კმ²-ს შეადგენს. მდინარე საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულის პერიოდში.

მდ. ჩაილურის ჰიდროლოგიური მახასიათებლები შეუსწავლელია. საპროექტო (წყალღების) კვეთში მდინარის დებიტის შესწავლის მიზნით ჩატარებული დაკვირვების/გაანგარიშების შედეგად, რომელიც ზაფხულის პერიოდში განხორციელდა და მოიცავდა სხვადასხვა

მაჩვენებლების, მათ შორის საპროექტო კვეთში მდინარის პარამეტრების კომპლექსურ ანალიზს - დადგინდა რომ წყალაღების კვეთში წყლის ხარჯი საშუალოდ 2000 – 2500 მ³/სთ-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ სარწყავი სისტემის მაქსიმალურ დატვირთვის რეჟიმში მუშაობის პირობებშიც კი ამოღებული წყლის რაოდენობა არ გადააჭარბებს საათში 70 მ³-ს, რაც ბევრად ნაკლებია საპროექტო კვეთში, ერთი საათის განმავლობაში, მოსული ჩამონადენის ხარჯზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ მდინარიდან წყალაღების პერიოდის გარკვეული მონაკვეთი ემთხვევა საპროექტო რეგინში ნალექების განაწილების მაქსიმალურ პერიოდს, რომელიც ძირითადად გაზაფხულისა და ზაფხულის დასაწყისში ფიქსირდება (ხოლო მდინარე ჩაილური მნიშვნელოვან წილად სწორედ წვიმის წყლებით საზრდოობს). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წვიმიან პერიოდში მორწყვის საჭიროება არ იქნება, შესაბამისად მოსული ნალექები მარტივად შეავსებს წყლის დებიტს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მოცემული რაოდენობით, წლის განსაზღვრულ მონაკვეთში, მდ. ჩაილურიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი

საპროექტო მახასიათებლების ანალიზის შედეგად განხორციელდა დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი, მათ შორის გამოიკვეთა პოტენციური ზემოქმედების წყაროები, ხოლო ობიექტური შეფასებების საფუძველზე დადგინდა ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა. პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე შესაძლოა დაკავშირებული იყოს, როგორც სარწყავი სისტემის მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებთან, თუმცა დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც “მნიშვნელოვანი”. მომდევნო ქვეთავებში აღწერილია სკრინინგის პროცედურის შედეგად გამოვლენილი/გამოკვეთილი პოტენციური ზემოქმედების წყაროები, გაანალიზებულია მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობა და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

5.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, არც მოწყობითი სამუშაოების წარმოების და არც შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპზე, საპროექტო არეალში არ იარსებებს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი რაიმე ტიპის სტაციონალური ობიექტი/წყარო. სამელიორაცი სიტემის მოწყობისთვის დაგეგმილი არ არის მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

მოწყობის ეტაპზე სარწყავი დანადგარის წყლით უზრუნველყოფისთვის, განხორციელდება მხოლოდ 200 მმ დიამეტრის მილსადენის (სიგრძე-372მ) ტრანშეაში (სიღრმე 70-80 სმ) განთავსება.

ტანშეის გაყვანისთვის გამოყენებული იქნება ექსკავატორი (1 ერთეული), რომლის მუშაობას შესაძლო თან ახლდეს გამონაბოლქვი ნამწვი აირების გამოყოფა ატმოსფერულ ჰაერში. იმის გათვალისწინებით, რომ სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპი მხოლოდ 1-2 დღით შემოიფარგლება და დაგეგმილია მხოლოდ 372 მ სიგრძის ტრანშეის მოწყობა, ამასთან სამუშაო ტექნიკიდან გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი ექსკავატორი - შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი და არ საჭიროებს დეტალურ შეფასებას.

სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. ექსპლუატაციის ეტაპზე სარწყავი დანადგარის ნაკვეთზე გადაადგილების მიზნით საჭირო იქნება ტრაქტორის გამოყენება, რომლის მიერ გაფრქვეული გამონაბოლქვი აირები იდენტური ან/და კიდევ უფრო ნაკლები იქნება სამეურნეო მიწის სავარგულზე მომუშავე ნებისმიერი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა. გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებლები იმდენად უმნიშვნელო იქნება, რომ ფონური მდგომარეობა უცვლელი დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება, როგორც მოწყობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და შესაძლო ზემოქმედების შერბილების ან/და პრევენციის მიზნით დამატებითი ღონისძიებების დასახვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

5.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმომქნელი მნიშვნელოვანი წყაროები საპროექტო არიალში არ იარსებებს. მოწყობის ეტაპზე, როგორც უკვე აღინიშნა, დაგეგმილი არ არის მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მათ შორის დიდი რაოდენობით მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამოყენება. ტრანშეის გასაყვანად გამოყენებული იქნება მხოლოდ ექსკავატორი, რომელიც სამუშაო რეჟიმისა (1-2 დღე) და მოცულობის გათვალისწინებით არ წარმოადგენს ფართო მასშტაბიან ხმაურწარმომქმნელ წყაროს და შეუძლებელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახინოს გარემო ფაქტორებზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადი ხმაურის წარმომქნელი წყაროა - წყლის ტუმბო, რომელიც იმუშავებს წელიწადში 4 თვის და თვეში 7-10 დღის განმავლობაში. ტუმბოს მაქსიმალური ხმაურის დონე 55-60 დბ-ია, რაც უახლოეს დასახლებამდე დაშორების მანძილის (5 530 მ) გათვალისწინებით, შესაძლო ზემოქმედების კუთხით, ფაქტობრივად ნულოვან მნიშვნელობას ატარებს.

ხმაურის გარვრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ფაუნისტურ გარემოზე არ იქნება მნიშვნელოვანი, ვინაიდან ტერიტორია დიდი ხანია ათვისებულია ადამიანის მიერ - გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და საპროექტო არიალის უშუალო სიახლოვეს ფაუნის წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი საკონსერვაციო ღირებულების სახეობების, არსებობა ან/და გავრცელება ნაკლებ სავარაუდოა. ტუმბოს განთავსების (წყალაღების) წერტილიდან მარიმაჯვრის ნაკრძალამდე მანძილი დაახლოებით 620მ-ია, რაც ნაკრძალსა და საირიგაციო ნაკვეთს შორის არსებული ბარიერების (გზა, მდინარე, ხე-მცენარეები) გათვალისწინებით, ფაქტობრივად გამორიცხავს ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ შესაძლო ზემოქმედების ალბათობას ნაკრძალის ტერიტორიაზე მოზინადრე ფაუნის წარმომადგენლებზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით დგინდება, რომ პროექტის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული კუთხით დამატებითი კვლევების განხორციელება ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

5.3. პროექტის განხორციელებით წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი

დაგეგმილი საქმიანობის, სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპზე შესაძლო ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი არ არის. სარწყავი სისტემის მოწყობითი სამუშაოების წარმოებას არ ექნება არანაირი შეხება ზედაპირული წყლის ობიექტთან. სამუშაოების წარმოება არ იქნება დაკავშირებული მდინარის წყლის გარემოს დაზინძურებასთან.

შესაძლო ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე დაკავშირებული იქნება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპთან, რაც გამოიხატება მდინარის დებიტის ცვლილებით. მოცემულ შემთხვევაში მთვარ ამოცანას წარმოადგენს მდინარის დებიტზე შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრა.

როგორც ანგარიშის 4.1 ქვეთავში განიმარტა - საირიგაციო პერიოდში, წყალაღების კვეთში წყლის ხარჯი საშუალოდ 2000 – 2500 მ³/სთ-ს შეადგენს, ხოლო საპროექტო მახასიათებლების მიხედვით მაქსიმალურ დატვირთვის რეჟიმში მუშაობის პირობებშიც კი ამოღებული წყლის რაოდენობა არ აჭარბებს საათში 70 მ³-ს. თვალსაშინაოა, რომ აღებული წყლის რაოდენობა საგრძნობლად ნაკლებია წყალაღების კვეთში ერთი საათის განმავლობაში, მოსული ჩამონადენის ხარჯზე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განსაზღვრული რაოდენობით, წლის განსაზღვრულ მონაკვეთში, მდ. ჩაილურიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

აღნიშნავია ასევე რომ მდინარე ჩაილური მნიშვნელოვანწილად წვიმის წყლებით საზრდოობს, რომლიც საკვლევ რეგიონში ძირითადად გაზაფხულისა და ზაფხულის

დასაწყისში ფიქსირდება - ვინაიდან მდინარიდან წყალაღების პერიოდის გარკვეული მონაკვეთი ემთხვევა საპროექტო რეგინში ნალექების განაწილების მაქსიმალურ პერიოდს, ხოლო წვიმიან პერიოდში მორწყვის საჭიროება არ იქნება, შესაბამისად მოსული ნალექები მარტივად შეავსებს წყლის (მცირედ დაკლებულ) დებიტს.

ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლის ობიექტის შესაძლო დაბინძურების პრევენციის მიზნით მუდმივად შემოწმდება ადგილზე მომუშავე ტუმბოს ტექნიკური მდგომარეობა, ხოლო გამოვლენილი დაზიანება დაუყოვნებლივ იქნება შეკეთებული.

საპროექტო ტრანშეის პარამეტრების გათვალისწინებით თხრილის გაყვანის პროცესში ზემოქმედება გრუნტის/მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული წყლის (ზედაპირული ან/და მიწისქვეშა) გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. დაგეგმილი საქმიანობით წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების დამატებითი შეფასების ან/და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის საჭიროება არ დგას.

5.4. ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი

საპროექტო არეალი მრავალი წელია ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ იმყოფება და შედეგად ბუნებრივი ლანდშაფტი საგრძნობლად სახეცვლილია. საველე აუდიტური დაკვირვებებით დგინდება, რომ სარწყავი სისტემის მოწყობა (მათ შორის, წყალაღების წერტილიდან საირიგაციო ნაკვეთებამდე მილადენის გაყვანა), დაკავშირებული არ იქნება ხე-მცენარეებზე შესაძლო ზემოქმედებასთან. ხე-მცენარეები ძირითადად გვხვდება მდინარის სანაპირო ზოლში, თუმცა სარწყავი სისტემის მოწყობით მათი გარემოდან ამოღება ან/და რაიმე ტიპის (ირიბი თუ პირდაპირი) ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ტანშეის დერეფანი ხე-მცენარეებისგან თავისუფალ ადგილებზე გაივლის და შევა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სარწყავი სისტემის მოწყობითი სამუშაოებით ზემოქმედება ფლორისტულ გარემოზე მოსალოდნელი არ არის. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არც ექსპლუატაციის ეტაპზეა მოსალოდნელი ზემოქმედება ფლორისტურ გარემოზე.

საპროექტო ადგილზე არსებული ანთროპოგენური დატვირთვის (საპროექტო არეალი აქტიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივაციისთვის) გათვალისწინებით საპროექტო ტერიტორია არ წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოს ფაუნის წარმომადგენლებისათვის, განსაკუთრებით კი საკონსერვაციო ღირებულების სახეობებისთვის. საპროექტო არეალში შესაძლებელია მცირე ძუძუმწოვრების არსებობა (მაგ. თაგვები), რომლებზეც შეგუებულებია არიან ადამიანის საქმიანობით სახეცვლილ გარემოში ბინადრობას და მათთვის ეს ტერიტორიები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები) ერთგვარ საკვებ (მარცვლეული კულტურები) არეალსაც კი შესაძლოა წარმოადგენდეს. საპროექტო

არეალში გავრცელებულ მცირე ძუძუმწოვრებზე ან/და ქვეწარმავლებზე ზემოქმედება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მილსადენის ტრანშეის გაყვანასთან, რომელიც არ გულისხმობს მასშტაბური სამუშაოების წარმოებას და შესაბამისად არ იქნება მნიშვნელოვანი.

როგორც 3.1.1 ქვეთავში განიმარტა, საქმიანობის განხორციელების ადგილის სიხლოვეს მდებარეობს დაცული ტერიტორია (მარიამჯვრის ნაკრძალი). საპროექტო საირიგაციო ნაკვეთებსა და დაცულ ტერიტორიას მიჯნავს მეორეხარისხიანი გრუნტის გზა და მდინარე ჩაილური. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი მიმდებარე ტერიტორიები წლებია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება და თავსებადია დაცულ ტერიტორიის საზღვრებთან, ხოლო არსებულ მდგომარეობას არ ცვლის არც სარწყავი სიტემის მოწყობა-ექსპლუატაცია. დაგეგმილ საქმიანობას არანაირი პირდაპირი ან/და ირიბი შეხება არ ექნება დაცულ ტერიტორიასთან, მათ შორის - ნაკრძალსა და საირიგაციო ნაკვეთს (ასევე წყალაღების წერტილს) შორის არსებული ბარიერების (გზა, მდინარე, ხე-მცენარეები) გათვალისწინებით, ფაქტობრივად გამორიცხულია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ალბათობა ნაკრძალის ტერიტორიაზე მოხინაძრე ფაუნის წარმომადგენლებზე ან/და ნაკრძალის ტერიტორიაზე მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე.

საპროექტო მონაკვეთის ფლორისტულ და ფაუნისტურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების დაბალი მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღნიშნული მიმართულებით რაიმე სახის დამატებითი კვლევების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის საჭიროება არ დგას.

5.5. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი

დადგეგმილია საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პროექტის, არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის, ფარგლებში არ არის დაგეგმილი ისეთი სახის ღონისძიებები განხორციელება, რომელსაც შესაძლო თან ახლდეს ნარჩენების წარმოქმნა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს წყალაღების წერტილში ტუმბოს განთავსებას, აღებული წყლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მილსადენით შეყვანას და სარწყავი დანადგარით (დაწვიმების მეთოდის) ნარგავების მორწყვას - აღნიშნულ ქმედებების განხორციელებისას ნავარაუდები არ არის ნარჩენების, განსაკუთრების კი სახიფათო ნარჩენების, წარმოქმნა და გარემოში გავრცელება.

ვითვალისწინებთ რა, რომ დაგეგმილი საქმიანობა ადამიანის აქტიურ ჩარევას მოითხოვს მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე არსებობობს გარკვეული ალბათობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების (წყლის ბოთლები, ქილები და ა.შ) წარმოქმნისა, შესაბამისად - გარემოს დაზინძურების პრევენციის მიზნით უბანზე შესაძლებელია განთავსდეს მცირე ზომის ყუთი, აღნიშნული ტიპის ნარჩენების შესაგროვებლად. ნარჩენები დაგროვების შესაბამისად

გადანიტილი იქნება ტერიტორიიდან და განთავსდება მუნიციპალურ ნაგვის ურნებში, რომლის მართვასაც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ახლორციელებს.

5.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მილსადენისთვის ტანშეის გაყვანის ოპერაციებთან.

დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბის (დაახლოებით 372 მ სიგრძის თხრილის გაყვანა) გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ტრანშეის გაყვანის დროს მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით დასაწყობდება ტრანშეის გასწვრივ და მილსადენის თხრილში ჩადების შემდგომ, გამოყენებული იქნება გაყვანილი ტრანშეის შევსება-რეკულტივაციისთვის.

საპროექტო უბანზე არ იარსებებს დამაბინძურებელი ნივთიერებები, რომლთა დაღვრამ შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს გრუნტის ხარისხზე. ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის დაბინძურების ან/და ხარისხარისხის გაურაესების პრევენციის მიზნით: მკაცრად გაკონტროლდება საპროექტო ზონის საზღვრები; ტექნიკურად გაუმართავი ტექნიკა, რომლიდანაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ნავთობპროდუქტების წვეთას საპროექტო ზონაში არ დაიშვება.

6. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი

პროექტის სპეციფიკისა და საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის. სამელიორაციო სიტემის მოწყობა-ექსპლუატაციით რაიმე ტიპის მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები პრაქტიკულად არ არსებობს, შესაბამისად საკითხი შეფასებას არ ექვემდებარება.

7. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებულ, მიმდინარე თუ დაგეგმილ

ანალოგიურ პროექტებთან ერთად, ზემოქმედების თვალსაზრისით, შექმნის მნიშვნელოვან კუმულაციურ ეფექტს.

დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედება შესაძლებელია განხილული იქნეს ზედაპირული წყლის ობიექტზე, მდინარის წყლის დებიტის ცვლილების თვალსაზრისით.

მომიებული ინფორმაციით და საპროექტო არეალის ადგილზე გადამოწმებით, დაგეგმილი საქმიანობის სიახლოვეს ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის არსებობა არ დაფიქსირებულა, რომელიც დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად კუმულაციურ ეფექტს შექმნიდა.

გამოკვლეული მონაცემებით მდინარე ჩაილურიდან სარწყავი დანიშნულებით წყალაღების ოფიციალური ფაქტები, მათ შორის საპროექტო სარწყავი სისტემის სიახლოვეს არ ფიქსირდება. საჯარო მონაცემების გადამოწმებით (mepa.gov.ge; nea.gov.ge) ასევე დადგინდა, რომ საპროექტო ობიექტის სიახლოვეს არ არის დაგეგმილი ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია.

დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების, მათ შორის საქმიანობის მასშტაბისა და გამოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

8. ზემოქმედების შესაძლო ხარისხი, კომპლექსურობა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების მნიშვნელობის განსაზღვრა

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგით დგინდება, რომ პროექტის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, ხოლო შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა არ შეიძლება ჩაითვალოს მასშტაბურად.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული სკრინინგის ეტაპზე არ გამოვლენილა ისეთი ზემოქმედების სახეები/წყაროები, რომელიც დეტალურ შეფასებას ან/და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელებას საჭიროებს. შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების ჩატარება - რომელიც საქმიანობით მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალურ შეფასებას, გონივრული შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების დანერგვას გულისხმობს - ფაქტობრივად საჭიროებას მოკლებულია.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებიდან შესაძლებელია გამოვკვეთოთ - "შესაძლო ზემოქმედება მდ. ჩაილურის წყლის ხარჯზე". წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მოცემული ანალიზიდან როგორც დადგინდა - საპროექტო რაოდენობით მდინარიდან აღებული წყალი (70 მ³/სთ) ბევრად ნაკლებია წყალაღების კვეთში, საირიგაციო (ზაფხულის) პერიოდში, ერთი საათის განმავლობაში,

მოსული მდინარის ჩამონადენის საშუალო ხარჯზე (2000 – 2500 მ³/სთ). შესაბამისად საპროექტო რაოდენობის წყლის აღება, წლის განსაზღვრულ პერიოდში არ იქნება დაკავშირებული მდინარის წყლის დებიტზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. მდინარიდან წყალაღების პერიოდის გარკვეული მონაკვეთი თანხვედრაში იქნება საპროექტო რეგინში ნალექების განაწილების მაქსიმალურ პერიოდთან, ხოლო ვინაიდან წვიმიან პერიოდში მორწყვის საჭიროება არ იქნება, შესაბამისად მოსული ნალექები მარტივად შეავსებს წყლის (მცირედ დაკლებულ) დებიტს.

დაგეგმილი პროექტი, მდინარიდან წყლის აღება და საპროექტო ნაკვეთების ირიგაცია, არ განეკუთვნება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მომხდენ საქმიანობათა ჯგუფს, მითუფრო მაშინ, როდესაც პროექტი არ ითვალისწინებს სარწყავი დანიშნულებით წყლის დაგროვებას და ამ მიზნით წყლის შეკავების ობიექტის - რეზერვუარის მოწყობას. მდინარიდან წყალაღება და საირიგაციო მნიშვნელობით გამოყენება წლის განმავლობაში, დროებით ხასიათს ატარებს და შემოიფარგლება მხოლოდ 4 თვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების საფუძველი არ არსებობს.

დანართი N 1 - საპროექტო არეალი, წყალაღების ადგილის მითითებით



დანართი N2 - წყალაღების ადგილის ფოტოსურათი

